

რა საფრთხეს უქმნის დოლარის კურსის ვარდნა ბანკებში ჭეჭანილ ანაბრებს და დეკოზიტებს

ჟურნალი “თბილისელები” – 28 აპრილი–4 მაისი, № 18, 2008

“ახლა, როცა ამ წერილს კითხულობთ, უკვე მიიღებდით 70-ლარიან პენსიას ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია ჩემი დაპირების შესასრულებლად, რომ პენსია 2009 წლისთვის 100 დოლარს მიაღწევს”, – ეს გახლავთ ამონარიდი პრეზიდენტის მიერ “უფროსი თაობისადმი მიწერილი წერილიდან”, რომლებიც ჩვენს ასაკოვან თანამემამულეებს სულ ახლახან დაურიგდათ. თუმცა, ფაქტია, რომ ამ გაზრდილი სამოცდაათი ლარით იმას ვეღარ შეიძენ, რასაც, თუნდაც, ერთი წლის წინათ შეიძენდი, რაც იმას ნიშნავს, რომ პენსია, ფაქტობრივად, არც გაზრდილა. მეორე მხრივ, არც დოლარს ადგას მაინცდამაინც კარგი დღე, თუმცა ეს გლობალური პროცესიც კი ვერ უშლის ხელს საქართველოს მთავრობას ცვლილებათა რეგოლაციური პაკეტის განხორციელებაში, უფრო მეტიც, დაპირებისამებრ, ერობლიგაციები არათუ დამზადდა, კიდევ გაიყიდა, რის წყალობითაც ქვეყანამ დამატებით 500 მილიონი დოლარის ოდენობის ვალიც გაინაღდა. ამ და სხვა საკითხებზე ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა გვესაუბრება.

ლადო პაპავა: ევროობლიგაციების შესახებ მე ხელთ მაქვს მხოლოდ მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ევროობლიგაციები ხუთწლიანი ვადით განთავსდა ლონდონის ბირჟაზე. ისინი სხვადასხვა კომპანიებმა შეიძინა და საპროცენტო განაკვეთი წლიურ შვიდ-ნახევარ პროცენტს შეადგენს.

– ეს ვადა და პროცენტები მომგებიანია?

– მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ ამ საკითხს: ეს ის თემა არ გახლავთ, როდესაც შესაძლებელია მომგებიანობაზე ან წამგებიანობაზე საუბარი, ამ შემთხვევაში საკითხი ასე უნდა დაისვას: არის თუ არა სწორი ის, რაც მთავრობამ გააკეთა და აი, რატომ – საქმე ის არის, რომ, როდესაც, თუნდაც,

ნებისმიერი ადამიანი სესხს იღებს, უპირველესად, იცის, რისთვის იღებს ამ სესხს. წარმოვიდგინოთ ნებისმიერი ფორმა, რომელიც ბანკში მიღის სესხის ასაღებად, ხომ დაუსვამენ მას კითხვას: რისთვის გინდა ეს სესხი? ახლა ისიც ვთქვათ, თუ რა არის ევროობლიგაცია. ეს არის სახელმწიფოს მიერ ევროპის ბაზარზე გაყიდული ფასიანი ქაღალდები, რომლითაც ქვეყანამ 500 მილიონი დოლარის სესხი აიღო, რომელიც 5 წლის შემდეგ უნდა დაბრუნდეს 7,5-იანი საპროცენტო განაკვეთით. ჩვენ, მოსახლეობას, ხომ გვაქვს უფლება, დავსვათ კითხვა: მით უფრო, რომ ეს სესხი ჩვენი, გადასახადების გადამხდელების გადასახდელია: რაში დაგვჭირდა 500 მილიონი დოლარის სესხის აღება ახლა, როდესაც ჩვენი მთავრობა გვარწმუნებს, რომ ეკონომიკაში ყველაფერი კარგად მიდის და შემოსავლები იზრდება? მართლაც, ბოლო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შემოსავლები გაიზარდა, მაშინ რისთვის გვჭირდება სესხის აღება? აი, რა ურთიერთგამომრიცხავი პასუხები აქვს ამ შეკითხვაზე ჩვენს მთავრობას: პრემიერ-მინისტრმა, როდესაც ის ინგა გრიგოლიას პრაიმ-თაიმში გამოდიოდა, გააკეთა ასეთი განცხადება: ეს ფული საჭიროა გაზსაცავის ასაშენებლად და მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების გასაყვანადო. მარტის პირველ რიცხვებში, როდესაც პარლამენტი 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებებს განიხილავდა, მე ფინანსთა მინისტრს ვკითხე, თუ რაში სჭირდებოდა სახელმწიფოს ამ ახალი ვალის აღება. ფინანსთა მინისტრმა თქვა, რომ ეს არის ფული, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებთ მომავალი თაობისა და სტაბილური განვითარების ფონდებში. ვიცით, რომ მომავალი თაობის ფონდი არის ის ფონდი, რომელიც უნდა ამოქმედდეს მაშინ, როდესაც მოხდება დაკარგული ტერიტორიების ინტეგრაცია და გამოზნული იქნება ამ ტერიტორიების რეაბილიტაციისთვის, ხოლო სტაბილური განვითარების ფონდი კი გულისხმობს იმ ხარჯების დაფარვას, რასაც ქვეყანაში არასასურველი და მოულოდნელი მოვლენების განვითარება იწვევს.. ასე რომ, ფინანსთა მინისტრმა, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ ენერგეტიკის მინისტრი იყო, არ დაადასტურა პრემიერ-მინისტრის ნათქვამი ევროობლიგაციებიდან შემოსული 500 მილიონი დოლარის ენერგეტიკაში

გამოყენების შესახებ. გეკითხებით: რისთვის გვინდა 500 მილიონი დოლარის სესხი? ვის დავეუჯუროთ: პრემიერ-მინისტრის თავში ნათქვამს თუ ფინანსთა მინისტრის ბოლოში ნათქვამს? ჩვენს ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური პროცესები რომ ვითარდებოდეს, პარლამენტისთვის საკმარისი იქნებოდა ფინანსთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის ამგვარი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, რომ მთავრობის ნდობის საკითხი დაეყენებინა და აი, რატომ: კონსტიტუციაში გვიწერია, რომ მთავრობა ერთი გუნდია, რომელიც მოდის საერთო პასუხისმგებლობით, მათ ერთად ეყრება კენჭი და ჩვენი მთავრობა ხშირად სწორედ ამაყობს იმით ამაყობს კიდევ, რომ ამბობს, ჩვენ ერთი გუნდი ვართ; არადა, როგორ არის ერთი გუნდი, როდესაც ერთ ტყუილზე ვერ შეთანხმდნენ? თუ ორივე პასუხი ტყუილი არ არის? როგორ ვერ მოიგონეს ერთი საერთო ფაბულა?

– მინდა, მკითხველისთვის განვმარტოთ: ჩვენი საგარეო ვალი, რომელიც ქვეყანამ თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში დააგროვა, 2 მილიარდ 700 მილიონ დოლარს შეადგენს და ამას 50 დღეში 500 მილიონი დაემატა.

– თან გაითვალისწინეთ, გრძელვადიან ვალებზე მოქმედებს პარიზის კლუბის შეთანხმება, ეს ვალი რესტრუქტურისებურია, ანუ შეღავათიან რეჟიმში ვიხდით. ახლახან აღებული 500 მილიონი დოლარი კი არანაირ რესტრუქტურისაციას არ დაექვემდებარება. იმას გარდა, რომ გაჩნდა მარტივი კითხვა: რისთვის ავიღეთ ვალი, იხადება მეორე კითხვაც: რა პირობებით ავიღეთ ეს ვალი? ჩვენ ვიცით, რომ 5 წლით და 7,5-პროცენტიანი წლიური განაკვეთით. მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო რამ, როდესაც პარლამენტმა რეკოლუციურ ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა, ცვლილება შევიდა სახელმწიფო ვალის შესახებ კანონშიც, ერთ-ერთი ცვლილება ეხებოდა ევროობლიგაციების გამოშვებას, იმიტომ რომ ასეთი ფენომენი ჩვენთან არ არსებობდა და საჭირო იყო ამის კანონში ასახვა. ამასთანავე, ცვლილებების შედეგად კანონში ჩაიწერა, რომ საგარეო ვალის პარამეტრები უნდა იყოს ასახული ბიუჯეტში და წლის განმავლობაში ამ პარამეტრების ცვლილება დაუშვებელია. ეს აბსოლუტურად სწორი ჩანაწერია, მაგრამ ამ ცვლილებათა

გარდამავალ დებულებაში გაკეთებულია ასეთი ჩანაწერი: ეს მუხლი არ ვრცელდება 2008 წელზე. ასე, რომ ჩვენთვის უცნობია, რა მოხდება წელს საგარეო ვალთან მიმართებაში, რას აპირებს მთავრობა, რაც ბევრ ეჭვს ბადებს. აქედან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესოა არა ის, რომელმა ფირმებმა შეისყიდა ქართული სახელმწიფო ობლიგაციები, არამედ ის, თუ რისთვის ვაკეთებთ ამას. ფაქტია, რომ მთავრობამ მანიპულაციის საშუალებები დაიტოვა, რადგან ამ მუხლის მოქმედება, რომ საგარეო ვალის პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, 2008 წელს შეჩერებულია.

- თქვენ ხომ გექნებათ თქვენი ვერსია, რის გამო გააკეთა ეს მთავრობამ? ნაღდი ფული სჭირდებოდათ?

- რა თქმა უნდა, არის გარკვეული ვარაუდები, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ენერგეტიკაში უნდოდეთ ამ თანხის ჩადება, არც იმას, რომ ფონდებში უნდოდეთ და არა ენერგეტიკაში.

- აქვს ქვეყანას ამ 500 მილიონის 5 წელიწადში გასტუმრების პოტენციალი?

- თუ შემოსავლები ამავე ტემპით გაგრძელდა, როგორ არ გვაქვს, უბრალოდ, როდესაც ამ ვალის გასტუმრების ეტაპი დადგება, ქვეყნის შიგნით ნაკლები თანხა გვექნება აკუმულირებული და მისი დიდი ნაწილი ქვეყნის გარეთ გავა. მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო მომენტი: ვალი აღებულია დოლარებში, დოლარი კი უფასურდება, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ლარში უფრო ნაკლები თანხა გვექნება გასასტუმრებელი.

- რადგან ლარსა და დოლარს შევხებით, რას ურჩევთ მკითხველს, რა ვალუტაში შეინახოს დანაზოგი?

- უძრავ ქონებაში, ამის შემდეგ, თუ მაინცდამაინუ ვალუტაში უნდათ ფულის შენახვა, დღეს ევრო უფრო სტაბილურია.

- ბანკებში ფულის შენახვა უსაფრთხოა?

- დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომლის შემოღებაც ირაკლი კოვხანაძეს უნდოდა, ზურაბ ნოღაიდელმა ჩააშლევინა. ასე რომ, დეპოზიტები ჩვენთან დაზღვეული არ არის, თუმცა ჩვენს ზოგიერთ ბანკს კარგი

საერთაშორისო რეიტინგი აქვს და ნამდვილად არ მინდა, გავაკეთო ისეთი განცხადება, რომელიც ქართული ბანკებისადმი ნდობას შეამცირებს.

– **თუ არ ცდები, თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომ, თუკი ინფლაციის მაჩვენებელი 40 პროცენტს არ გადააჭარბებდა, ეს კარგი იქნებოდა.**

– დიას, ეს პესიმისტური განცხადება გავაკეთე შარშან იმ პოპულისტური გადაწყვეტილებების გამო, რასაც მთავრობა იღებდა

– **ახლა თქვენი პროგნოზი?**

– პირველ თვეებში ინფლაციის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. ურფო მეტსაც გეტყვით, თუ წლევეანდელი მარტის ინფლაციას შარშანდელი მარტის ინფლაციას შევადარებთ, გამოვა, რომ ის 12 პროცენტზე მეტია, თანაც ეს იმ მონაცემებით, რაც მთავრობამ გამოაქვეყნა, თორემ რეალურად შეიძლება, 18-20-პროცენტიც იყოს.

– **ვიცი, რომ ლარი დოლარით მყარდებოდა, როდესაც დოლარის კურსი დაეცა, რაღა ამყარებს ლარს?**

– დოლარის კურსის დაცემა თვითონ არის ლარის გამყარების მიზეზი. ეს ერთდროული პროცესია: წარმოიდგინეთ, ქვეყანაში შემოდის ძალიან დიდი ოდენობით დოლარი, შემოდის ინვესტორები, ყიდულობენ ქონებას, ზოგი – სახელმწიფოსგან, ზოგი – კერძო პირისგან, მაგრამ ყველა ტრანსაქცია ხდება ლარში, ანუ, როდესაც დოლარი შემოდის, მოთხოვნა ჩნდება ლარზე. ხოლო, რაკი მოთხოვნა გაიზარდა ლარზე, ესე იგი ლარი გაძვირდა. ამა სგარდა, იზრდება ჩვენი უცხოეთში სამუშაოდ წასული თანამემამულეების მიერ გადმორიცხული თანხების ოდენობაც, ამ თანხების 98 პროცენტი კი დოლარში გადმორიცხება.

– **რატომ მაინცდამაინც დოლარებში?**

– ისინი, ვინც რუსეთში, აღმოსავლეთ ეროპაში ან დსთ-ის სივრცეშია, დოლარში რიცხავს თანხას, იმიტომ რომ დღეს დოლარი უფრო მეტადაა მსოფლიოში გავრცელებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა ვალუტა. ევროც მსოფლიო ვალუტაა, მაგრამ დოლარი მაინც ყველაზე მეტადაა გავრცელებული და ასეც შენარჩუნდება, მიუხედავად მისი კურსის ვარდნისა. თუმცა ჩვენთანაც დაიწყო თანხების ევროში გადაყვანა, მაგალითად,

ავიაკომპანიები, რომლებიც ადრე დოლარის კურსით ყიდდნენ ბილთს, ახლა ევროს კურსს იღებენ საფუძვლად.

– **ეს გადასვლა დოლარიდან ეროზე დაარტყამს ლარს?**

– დოლარიდან ეროზე გადასვლა უფრო სტაბილურს ხდის ოპერაციებს, ჩვენს ლარს და მთლიანად ეკონომიკას კი სჭირდება კომპეტენტური და ეროვნული მთავრობა. არსებობს გლობალური პროცესები, რომელსაც ვერ აიცილებ თავიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშანავს, რომ ეს პროცესები კიდევ უფრო დაამძიმო საკუთარი არაკომპეტენტურობით.

ნინო ხაჩიძე